# ერი

№ 21

წელიწადი პირველი 1913

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურად . . . . . . . . . 7 მანეთი

ნახევარი წლით . . . . . . . . 4 მანეთი

თვიურად . . . . . . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და-ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურად 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურად 6 აბაზი.

ოთხშაბათი, 27 ნოემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“ Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.



„რადიუმი“

25, 26 და 27 ნოემბერი

ახალი პროგრამა.

I. პათე-ჟურნალი.

II. პიერო და პეპელა

დიდი მხატვრული კომედია „ნორდიკსისა“ 4 ნაწილათ ცნობილი მოცეკვავე ქალის რიტა საშეტოს მონაწილეობით.

III. ზანსაცთელში

ძალიან კომიკური სურათი.

28 საქველმოქმედო სეანსებია ახალი პროგრამით „სახალხო გაზეთის“ სასარგებლოთ.

ამ დღეებში იქნება სურათები ვერბიცკის რომანის:— „ბედის გასაღები“

დრაპი, ბიბერი, ტრიკო, მაუდი.

პაემზე დამყარებული ამხანაგობა ს. მ. პირაპოზოვი და ზ. გ. ოგანოვი

ბუმაზეი, ფლანელი, ვიგონი, შოტლანდკა.

მიღებულია დიდძალი საზამთრო საქონელი

კოტიკი, პლიუში, ველვეტი.

შაბათობით იყიდება იაფათ ნაჭრები.

ველვიური, გრუია, იდეალი, ფლორი.


ღრმეს მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ონისიმე თომას ძე ტყეშელა-შვილი, შვილები: ილია, სოფიო, დომინიკა და ანა, დედამთილი ანა ტყეშელაშვილისა, მაზლები: გიორგი, დავით და ექიმი კონსტანტინე თომას ძენი ტყეშელაშვილები, რძლები: თეკლე და ელისაბედი, სიძენი: ალექსანდრე გრიგოლაშვილი და გიორგი კილაძე—აუწყებენ ნათესავ-თა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## ეფროსინე ლაზარე პაპავას ასული ტყეშელაშვილისა.

პანაშვიდები ყოველდღე, სიღამოს 5 1/2 ს.; ჭავჭავაძის ქ. საკუთ. სახლი. გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 28 ამა ნოემბერს, თორმეტ საათზე; დაკრძალვა ამავე დღეს ნაშვადღევის სამ საათზე სოფელ ზედა-მაღლა-კის ეკლესიის სასაფლაოზე.

ქვრივი სალომინა (ფუცუ) საჩინო გვგეჭკორის ასული ჯაიანისა, ბებე და ტატიანა ლევანის ასულნი, ილარიონ, იპატი და კატო თემურაზ ლოლუას ძენი და ასულნი, ნიკო ფარნაოზის ძე გვგეჭკორი და ეფრო-სინე ელიავას ასული გვგეჭკორისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასისა და დაუვიწყარის

## ლევან გლახუას ძის ჯაიანის

გადაცვალებას. უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია ნოემბ-რის 30-ს, შაბათს საკუთარი სახლიდან სოფ. მაცხოვრის კარში.

გადაცვალებიდან მეორმოცე დღეს—ოთხშაბათს, 27 ნოემბერს, ქუთა-ისის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი 9 საათიდან 11-მდი.

## ქეთევან ნიკოლოზის ასულის კერე-სელიძისა

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღ-ლე გადაცვალებულისა დეკანოზი ამავე ტაძრისა იოანე ი. კერესელი-ძე, ძენი მისი სამხედრო ექიმები დავით და პავლე (ვიგო); ასულნი—სალომე და მარიამი; სიძენი მისი: თავადი კონსტანტინე მიხეილის ძე აბაშიძე, იაზონ თომას ძე ბაქრაძე; რძლები: ალექსანდრა იოსების ასუ-ლი და ნინო ივანეს ასული კერესელიძენი; ძმები: სამსონ და დავით დათე-შიძენი, და მისი, ქვრივი, მაგდან ნიკ. ას. წერეთელი და რძლები: ეფროსინე (პაშა) სვიმონის ასული და დარო გიორგის ასული დათეშიძენი.


ყოველკვირეული სალიტერატურო-იუმორისტული ჟურნალი

„ს უ ს ხ ი“

გამოვა ამა წლის 1 დეკემბრიდან

ჟურნალ „ჭინჭრის“ მკითხველთა საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ ამიერიდან „ჭინჭარი“ აღარ გამოვა და მისი მაგიერი იქნება „სუსხი“. ამიტომ ყოველგვარი წერილი და კორესპონდენცია უნდა გამო-იგზავნოს შემდეგი მისამართით: Тифлисъ, Мухранская № 12. Журналъ „СУСХИ“. 1603

დიდი იაფი ვაჭრობა.

მოსკოვის საფართლო მაღაზიაში

(ვორონცოვის ქუჩა, საგუბერნიო სამართველოს ქვეშ)

18 ნოემბრიდან გაიხსნება

დიდი იაფი ვაჭრობა

დრაპების, მაუდების, ტრიკოების, აბრეშუმების, შალების, ზამთრის ჩითებისა და ყოველგვარი ფართლეულობის. ფასები დაკლებულია 40%, რაშიც მყიდველნი თვით დარწმუნდებიან. ფასი უვაჭროთ.

პატივისცემით გაბუნია.

## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარე-თის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შე-ნობაში, ახვლედიანის მაღაზიის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კოსტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშე-ბის ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალ-გვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედა-წელები და ზედაწელის მატერიები ნაქრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშვების რეზინის კალოშები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის ქამრები და საქამრე რე-ზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს ღებულობს ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.

## მევენახეთა საყურადღებოთ!

1913 წლის ღვინის მოსავალს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო. ამერიკული ვაზის სანერგე „კლდე ყღურული“ ქუთაისში ერთადერთი სანერგეა, რომელიც ამყნობს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაი-რი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული, 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალი-გოტე, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოლ—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მე-ტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო“-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და მელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე მმ. გოგიელის სახლში ვ. ცინცო.

კარგ თუთუნს ეძებთ, ვსთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება ახლათ გა-მოსულ პაპიროზებს

პ ა რ ო ს ი { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა ძმათა სეილანოვებისა. თ ფ ი ლ ი ს შ ი.

## ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი ექიმებით.

## მუდმივი საწოლებით

## თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

ქ. ა. ამაშუ—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. . . . 1— 2

გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის . . . . . . 10—12

ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო . . . . . 11—12

მ. დ. ბეთანელი—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . . 12— 2

ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . . . 12 1/2 2

ს ა ღ ა მ ო თ.

გ. დ. ქორქაშვილი—თვალის . . . . . . . 4 1/2—5 1/2

ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . . 5 1/2—6 1/2

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარ-დის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფე-ბისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორი-გებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელე-ფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.

აქიმი დ. ჯაფარიძე იღებს შინაგა-ნის, ბავშების, აგრეთვე ყე-ლის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნი-ქარაძისა.

აქიმი კ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუ-შინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

აქიმი ი. ჩარექიშვილი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყო-ფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქი-მი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, ბოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

დედათა ზესკვაფორია

აქიმი ლ. დ. ნაზაროვა

მიიღებს ავათმყოფებს: შინაგანის და ბავშ-თა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თედორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.

ა ქ ი მ ი გ. ა. მეიფარიანი. ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ, და საღამოს 5—7 საათ, თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

აქიმი ვ. მ. ლორთქიფანიძე დაბრუნ-და და განაგრძობს ავათმყოფე-ბის მიღებას.


## ქართული პრესა.

ფენომენალური ნიჭის ხალხს მოუყა-ლათებია „მერცხლის“ რედაქციაში, აბა ამას რაღა ლაპარაკი უნდა, ისეთი ნიჭის, როგორც პატარა დირიჟორი ვილლი ფე-რეროა: არ იცის ნოტები, თეორეტიუ-ლათ მუსიკა არ შეუსწავლია, მისი სცე-ნის გარეშე ცხოვრება ბურთისა და კო-ჭის თამაშში გადის, მაგრამ მაინც დი-დებული მუსიკოსია. ასეთი ვუნდერკინ-დები ჩვენში „მერცხლის“ რედაქციას ამ-კობენ: არ იციან არაფერი, არაფერი შე-უსწავლიათ, მაგრამ მაინც დიდებული ჟურნალისტები არიან. ერთი ასეთი ფე-ნომენი მადლენიც გახლავთ, რომელსაც თუმცა არც სარკინისგზო საკითხი ესმის, თუმცა მისი შემეცნება და მეცნიერული ავლა-დიდება „ყურდგელს აეკიდება“, მაგრამ... მაგრამ მაინც დირიჟორია და-სელთა კვარტეტიკა და, კრილოვის თქმის არ იყოს, თუმცა არ იცის სათვალე კოს-როზე დაიდვას, თუ კუდზე ჩამოიკიდოს, მაგრამ... რა მაგრამ, უკვე ცნობილია, რომ უვიცნი ამკობენ სამეფოსა მას. ხო და იმას მოგახსენებდით: ბატონი მადე-ლენი კოსროზე გაკეთებული სათვალეთი უახლოვდება ჩვენი გაზეთის მე-18 ნუ-მერში მოთავსებულს მეთაურ წერილს სარკინისგზო საკითხის შესახებ და მის მიერ ამოჩენილ „ამერიკას“ ამცნობს,— რომ „ერის“ აზრით:

„ჩვენი ხსნა ქვეყნის გაკულტურება-ში, ვაჭრობა-მრეწველობის აყვავება-სა და საზოგადოთ საწარმოო ძალთა განვითარებაში კი არ ყოფილა, არა-მედ საშუალო საუკუნეების კარჩაკე-ტილობაში“...

ვუნდერკინდი—მადლენი ამბობს რა ამას, ღრმათ დარწმუნებულია, რომ ამ-გვარი მისი განმარტება რკინისგზათა მნიშვნელობის შესახებ მისი შემოქმედე-ბითი უნარის ნაყოფია, მაგრამ ვინც „ერში“ მოთავსებულ წერილს სავსებით წაიკითხავს, იგი დაინახავს, რომ მადე-ლენზე უფრო, მეთაურის დამწერს აქვს შეგნებული და გარკვეული ყოველივე ეს, და მადლენსაც რომ სათვალე თავის ადგილზე ქონოდა გაკეთებული, მაშინ

უკვე დაინახავდა და ამოიკითხავდა მეთაურის შემდეგ ადგილს:

„რკინის გზა, ეს ხომ ეკონომიური ცხოვრების ძარღვია; ეს ხომ თითქმის სასწაულმოქმედი ძალაა, იგი სიცოცხლეს ბადებს იქ, სადაც საუკუნეებით მყუდროება და უსიცოცხლობა სუფევდა;

იგი ამცირებს დროსა და სივრცეს ბადებს ვაჭრობა-მრეწველობას; მიყრუებულს, მოწყვეტილ მხარეს კულტურულ ქვეყანასთან აკავშირებს. იგი ძლიერი ფაკტი და ფაკტორია ხალხის ეკონომიური განვითარებისა“... და სხ.

აბა ბძანეთ, მეუფეო, უკულმართი აზროვნებისა, თუ რა განსხვავებაა თქვენისა და ხსენიბული დახასიათების შორის? ვინ უარყოფს რკინის გზათა მნიშვნელობას, ვინ ამბობს იგი უკულტურობის შემომტანი არისო? მხოლოდ ვიცით თქვენ რა გაწუხებთ. აი რა: თუმცა ავტორი არ უარყოფს რკინის გზის შტოთა გაფართოებასთან დაკავშირებულ ხალხის ეკონომიური ზრდა-განვითარების მსვლელობას, თუმცა იგი საკმაოთ განმარტავს რკინის გზათა დიად როლს, ხალხის კულტურული აღზდის საქმეში, მაგრამ მაინც არაა მოხარული იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის ყოველ მხარეში გაიყვანონ გზები და ჩვენი დაბა-სოფლები ცენტრალურ რუსეთს დაუახლოონ, რადგან იმავე მეთაურის სიტყვით:

,,ჩვენში, ამ საერთო მოსაზრებათა გარდა, სხვა მიზეზებიც მოქმედებენ. უპირველეს ყოვლისა აქ გზების კეთებას სახელმწიფოებრივი, სტრატეგიული და პოლიტიკური მიზანი აქვს...

ნუთუ ვერ გრძნობთ, ბატონო მადლენო, რომ ხაზინას მარტოოდენ მადელენთა კულტურული აღზდა არ აქვს მხედველობაში, არც სხვათა ეკონომიური კეთილდღეობა, რომ იგი სხვა გრძნობებით ხელმძღვანელობს? ბრძენო დიოგენო, ერთი მიბძანეთ: ბაიკალის დიდი გზა რომ გაყავდა ციმბირში ვიტე-ხილკოვებს, იმათაც ციმბირელი მადელენების კეთილდღეობა ქონდათ მარტოოდენ მხედველობაში? მარქვი: ,,სადა არს სიბრძნე შენი ან ერთგულება შენი ყარაიუსუფ?“ ნუთუ ჟამთა სვლამ გამოგტაცა ერთიც და მეორეც? მეგრამ, კმარა, მადლენებზე ესეც მეტია!..

# ახალი ამბავი.

პარასკევის კრების მომწყობი ქუთ. ქალთა საზოგადოების კომისია ბოდიშს იხდის ამ საზოგადოების წევრთა წინაშე, რომ გასულ პარასკევს ვერ მოასწრო გამოცხადება, რო მორიგი კრება ამ დღეს ვერ შესდგებოდა.

პარასკევს, 29 ნოემბერს, მოხდება ჩვეულებრივი კრება ამ საზოგადოებისა. ბ. ალექსანდრე გარსევანიშვილი ისაუბრებს ,,ქართველ ქალზე“ მეთვრამეტე საუკუნეში.

✦ ქალაქის საბჭოს სხდომა 27 ან 28 ნოემბერს მოხდება, ნაცვლათ 25 ნოემბრისა, როცა ეს სხდომა აღარ შესდგა.

✦ 25 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე პოლიციის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩდა ნესტორ კაკაბაძის სახლს და სანამ ცეცხლის მქრობელი რაზმი მოვიდოდა, ცეცხლი იმდენათ გაძლიერდა, რომ დაქრობა შეუძლებელი გახდა, სახლი სრულიად გადაიწვა.

✦ დაპატიმრეს ქალაქის გამგეობის ყოფილი მოსამსახურე იოსებ ლორთქიფანიძე, რომელიც სამსახურის დროს ბოროტმოქმედებისთვის პასუხის გებაშია მიცემული.

✦ ორშაბათს ოლქის სასამართლომ გაარჩია ბესარიონ ყაჭეიშვილის, ბ. თურქიას, დ. ვასაძისა და ს. თუთბერიძის საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ ს. საჭილაოში ქალის მოტაცება და ბ. ყაჭეიშვილზე ჯვარის გადაწერა. სასამართლომ ყველა უდანაშაულოთ იცნო და ყველა გაამართლა.

✦ დღეს ზესტაფონში მევენახეთა კრება მოხდება.

✦ ქართული გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფე ლორთქიფანიძე გუშინწინ ორპირის ქუჩაზე ბრაზიანმა ძაღლმა დაკბინა. იგი თფილისს წაიყვანეს საქიმოთ.

✦ ქუთაისის ქალთა წრის გამგეობა მადლობას სწირავს ლეჩხუმელ მანდილოსნებს, რომელთაც კეთილ ინებეს და განსვენებული გელოვანის კნეინა დესპინე შარვაშიძის ასულის კუბოს შესამკობი გვირგვინის ნაცვლათ თუთხმეტი მანეთი ხსენებული ქალთა წრის სასარგებლოთ შემოსწირეს.

✦ უპირველესი საჩუქარი, ოქროს მედალი და ბევრი ვერცხლის მედალი პეტერბურგში გამართულ გამოფენაზე— „რუსის რივიერა“ —ერგო ქალაქ ბათომსა და ბათომელ ექსპონატებს.

✦ დ. ზუგდიდიდან გვწერენ: 22 ნოემბერს სამაზრო სამართველოში კრება იყო დანიშნული იმის შესახებ: არის თუ არა ზუგდიდის მაზრაში შიმშილობა და საჭიროა თუ არა, რო მიეცეს მცხოვრებთ მთავრობის დახმარება. მონაწილეობას იღებდენ: მაზრის უფროსი, პოლიციის ბოქაულები, მომრიგებელშუამავლები და სოფლის ვითომ ამორჩეული პირები: კრებამ შიმშილობაც უარყო და დახმარების საჭიროებაც. კომენტარიები, მგონია, ზედმეტია, მხოლოდ საინტერესოა ვიცოდეთ: ვინ ამოარჩია ეს სოფლიდან მოსულები და ვინ იყვენ ისინი.

✦ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმისათვის საკუთარი შენობის აშენების შესახებ შეამდგომლობა აღსძრა. ხსენებული შენობის აგება 250 ათასი მანეთად დაჯდება.

✦ გაზეთ ,,ბაქოში“ სწერია: ქუთაისში დაატყვევეს წვრილი ვაჭარი მექვინაძე- ის წაიყვანეს ჯერ მთებში და შემდეგ ტყიბულის ლიანდაგზე გადმოიყვანეს. ბოროტმოქმედთ მექვინაძე მდიდარი ებრაელი ვაჭარი გონებიათ. როდესაც თავისი შეცდომა გაიგეს მექვინაძე გაათავისუფლეს და თან ბოდიშიც მოიხადეს.

✦ გუშინდელს ჩვენს გაზეთში—სტუდენტთა ერთი ჯგუფის მოწოდება“-ში შეცდომით არის მოხსენებული, რომ ჩვენს რედაქციას ჯგუფი სტუდენტებისა მცირე თანხას უგზავნიდეს. რედაქციას არ მიუღია არავითარი შეწირულობა და კვლავაც ვერ მიიღებს ამ სახის შეწირულობას.

**თფილისი.**

✦ ხმა დადის, ვითომც იმერეთის ეპისკოპოზი ყ—დსამღვდელო გიორგი თანამდებობიდან გადადგომას აპირობდეს.

✦ სინოდმა იმერეთის სასინოდო კანტორას გადასცა 1500 მანეთი. არკადი ვაკულოვსკი დობჩინსკის მიერ შეწირული, რომლითაც უნდა აშენდეს ეკლესია.

✦ ცნობილი კამო პეტროსიანი, რომელსაც სიკვდილით დასჯა მანიფესტის ძალით კატორგით შეუცვალეს, ამ ჟამათ მეტეხის ციხეში ზის. იგი ამ ჟამათ სწერს „შეშლილის წერილებს“, რომელშიც აღწერს გერმანიისა და რუსეთის სულით ავათმყოფთა თავშესაფარებს.

✦ კომპოზიტორი ნ. პ. სულხანიშვილი ბაქოდან თფილისს დაბრუნდა. ამ მოკლე ხანში ქართულ თეატრში კონცერტს გამართავს. შესრულებულ იქნება განსაკუთრებით ის სიმღერებიც, რომელიც ამ ზაფხულს მოგზაურობის დროს ფოტოგრაფით გადაიღო.

# მართალია?

ორი საკვირველი ინციდენტის მოწმე გავხდი ჩემდა უნებურათ ამ დღეებში და დაინტერესებული მათი მიზეზით, ვფიქრობ, თუ რა ძალა და ისეთი გასაჭირი დაადგა მათ მომწყობს? შემოვიდა ძმათა ოცხელთა სავაჭრო სახლში ბ. კ. აბდუშელიშვილი, შემოიტანა მთელი დასტა ბილეთებისა და მიმართა ერთ ნოქართაგანს: „ძმაო, გამაგებიეთ—ვისი და რისი სასარგებლოა ამაღამ გამართული ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო. ეს ბილეთები მოგვიტანეს ნოქრების სახელით, მათ სასარგებლოთ არისო და მართალია ეს თუ არა, გეცოდინებათო“. იქვე ახლო მდგომმა ნოქარმა, რომელსაც ვიცი პოლიკარპე ქვია (ჩვენში ხომ ყველამ ერთმანეთის სახელი და მეტიც ვიცით საზოგადოთ) უპასუხა: „არა, ბატონო, ჩვენთვის არავინ არაფერს არ ზრუნავს და არც ეს წარმოდგენა გახლავს ჩვენს სასარგებლოთო“. შემდეგ ბ. კ. ა—მა მეორეს მიმართა, მესამეს და როცა ყველასგან ისეთივე პასუხი მიიღო, გაკვირვებული წავიდა.

იმავე საღამოს ერთ ჩემ ნაცნობ ოჯახში შევედი და იქ მკითხა დიასახლისმა: „გეცოდინება, რა წარმოდგენა არის დღეს:—კნეინა №№-საგან ბილეთები მომივიდა—ლოჟისაო“. რადგან მე დანამდვილებით ვიცოდი, რომ ხსენებული კნეინა არავითარ ბილეთებს არა ყიდდა იმ დღეს და ესეც არ ყოფილიყო დილის ინციდენტით დაინტერესებულმა, ვკითხე მას და პასუხათ მივიღე: „მე არავითარი ბილეთები არავისთვის არ მომითხოვია, და არც კი ვიცოდი, თუ დღეს რამე ამბავი იყო თეატრში! გასაკვირველია სწორეთ ეს მოვლენა; ვისი სახელითაც იგზავნება ბილეთები, იმან არა იცის რა, ვისაც ეგზავნება არც იმან და ვის სასარგებლოთ, არც მათ იციან-რა! მაშ ვინ უგზავნის, ვისა და რისთვის?

სასურველია, ეს გარემოება გამორკვეული იქნეს, თვარა, მაინც ყველა გაურბის ქართულ თეატრს და ამიერიდან თვით თეატრის კასაშიც კი შიშით და კრძალვით იყიდი აწ ბილეთებს, რადგან ეჭვში იქნებიან: ვინ მართავს, რას მართავს და ვის სასარგებლოთ!

**შორაპნელი.**

# დღიური.

ოსმალეთის მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, გამართოს მოლაპარაკება სომხებთან სხვა სახელმწიფოების დამოუკიდებლათ.

— ლონდონში სუფრაჟისტმა ქალებმა კილიგოუზის სასახლე დასწვეს; ზარალი 200 ათასი მანეთია.

— გერმანიის მეფის ბძანებით ცაბერნში მყოფი ჯარი, იქ მომხდარი ამბების გამო, სხვაგან გადაიყვანეს.

— სახელმწიფო სათათბიროს სესია 10 დეკემბერს დაიხურება.

— ბულგარეთის მთავრობას ოფიციალური ორგანო სწერს: რუსეთმა გაყიდა ბულგარეთი, როდესაც დობრუჯი რუმინიას დაუთმოო.

— ბულგარეთში მცხოვრები მამადიანების ორგანო აცხადებს: ამ არჩევნებში მამადიანები სოციალისტებს მისცემენ ხმასო.

— რუსეთის სტამბოლელ ელჩს გირსს ეცნობა,—დაწვრილებით გამოიძიოს მუსტაფა-ფაშის ციხეში თვითმკვლელობის საქმე.

— პეტერბურგის პოლიტეხნიკუმში სტუდენტებმა გაფიცვა გამოაცხადეს.

# სალიტერატურო-სამუსიკო საღამოზე.

**ქვირა, 24 ნოემბერი.**
**(შთაბეჭდილება).**

ასეთი საღამოები ჩვენში არც ისე დიდი ხანია, რაც რიგში ჩადგა და იმართება. ღვთის წყალობით მეპროზენი და მოლექსენი—უფრო კი უკანასკნელი—ბლომათა გვყავს, აგერ-ეგერ მემუსიკემომღერალნიც მოგვეძევება და თუ „ნებართვა“ მოახერხე ამა თუ იმ სახით, სალიტერატურო-სამუსიკო-ვოკალურ-მუსიკალური საღამო მზათაა, სცენაზე გამოსვლისა და სცენიდან თავისი საკუთარის, თუ სხვისი ნაწარმოების ასრულების სადღეღელი ბევრს აქვს აშლილი.

მნიშვნელობა კარგი აქვ! ასეთ საღამოებს, ხალხის გემოს განვითარების საქმეში კაი საქმე შეუძლია მას გააკეთოს, თუ...

დიახ, საქმეც, ეს თუა! მშვენიერ რასმე ნაწარმოებს, ლექსი იქნება, პროზა, დასაკრავი, თუ სასიმღერო, ცხადი, გემოზე ამსრულებელი საჭიროა, რო მოგხიბლოს, დაგატკბოს. ჩვენში ამ საქმეს, სამწუხაროთ, ღირსეულ ყურადღებას არ ვაქცევთ, ჩვენი საღამოები ხშირათ ძალიან უფერული გამოდის, და ეს გარემოება კი დასაღონებელია. საღამოებს მეტ ნაწილათ მოზარდი თაობა, მოწაფეები და დემოკრატიული ნაწილი ესწრება, რომლის- „გემოსთვის“ უნდა ვიზრუნოთ.

ავიღოთ გასული კვირის საღამო. ძალიან ჩინებული და ცნობილი მოლექსენი არიან ნ. ჩხიკვაძე, ვ. რუხაძე, ქუჩიშვილი, ტაბიძე. ბევრი წაგვეკითხავს ამათი ლექსი, მოგვწონებია, დავტკბარვართ და როცა საღამოებზე ეს ავტორები ამ თავისი ლექსების წაკითხვას გვპირდებიან, მოვდივართ ხალისით, მარა ხალისს ფრთა ეკვეცება. რამდენათ ლამაზია ვ. რუხაძე, გრძნობიერი არიან ქუ-

# კათოლიკობა იმერეთში.

**4.**

რა პატივისცემა და სიყვარულიც მოიხვეჭეს კაპუცინებმა საქართველოში იმ დროს, როდესაც ისინი თავისუფლათ ავრცელებდენ კათოლიკეთა სარწმუნოებას ქართველთა შორის, ამას აშკარათ გვიჩვენებს ქვემო მოყვანილი საბუთი, რომელიც წარმოადგენს ბარათს პატრი იოსებისადმი თავადის იესე იაშვილის მიერ სოფელი გეგუთიდან, სადაც პატრებს იმერეთის მეფე სოლომონის მიერ აუარებელი ადგილი და გლეხი ქონდათ ნაჩუქარი. მომყავს სიტყვა-სიტყვით თავადი იესე იაშვილის წერილი:

„მის მაღალ პატიოსნებას და ჩემს მწყალობელ მეგობარს უფალს პატრს იოსებს მოწყალეს ხელმწიფეს.

რომელიც წერილი გებოძათ და რაკ გებძანათ ვისმინე და იმ გოგოს ანბავს თუ მოიხსენებ ახთე იყო. ის გოგო ობოლი იყო უდედმამო და ის ჩემი კაცი გლახუნა გაგოშიძე შემეხვეწა იმ გოგოს სახლის კაცი და ის თქვენი კაცი ნიკოლოზა გუხუაძე მაშვალი და გამრიგე იყო და იმ ჩემ კაცს გასათხოვრათ დავანებე და თეთრიც გამოვართვი ჩემ კაცს და ჩემი კაცი ქართლს წავიდა და იქ მოკდა და გლეხი და (აქ ერთი სიტყვა ვერ გავარჩიეთ) და მას მერმეთ თქვენს კაცს ყავდა ის გოგო. მოვთხოვეთ და არ დამანება ჩემი კაცის შვილი. წამოვიყვანეთ ბოქაული რომ მოეხსენებიათ და ან ღვინო დაულევია ან რამე უკადრებია სხვა მოგახსენებს მაგრამე თქვენს კაცს ყველას დიდი გული აქვს ამისთვის რომ პატრის კაცნი ვართო. თქვენი მოსახსენებელი რა იყო და ან თქვენი თავშესაწყენი. თქვენი კაცის სიმართლე ამით გაშინჯეთ თუ მაგას დავახსენი დახსნილობის წერილი ექნება ჩემგან. ამას კი ანბობს ჩემი კაცი თეთრი ჩემი იყო და რადგან მაგისი იყო ის თეთრი მე არ ვიცი ჩემმა კაცმა მომცა და თქვენის უწყენს გულისთვის თქვენ მოგართმევ იმ თეთრს თორემ თქვენს კაცს სიტყვა არ აქვს ჩემთან უფალო.

თქვენი მეგობარი თავადი იესე იაშვილი. ჩყი (1810) წელს. მარტის იზ.“

ასეთია ეს საბუთი, რომელშიც თავადი იესე იაშვილი კაპუცინს პატრს იოსებს თავისს მწყალობელ მეგობარს უწოდებს და დიდი მოწიწებით ეპყრობა, ოღონდაც არ აწყენიოს მას. ამ საბუთზე არის მიწერილი შემდეგი სამი სიტყვა ქართულათ:

„იჰა შვილის ფასუკი“; როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს, ეს არის კაპუცინის მიერ მიცემული შენიშვნა, რაიც ნიშნავს შემდეგს: „იაშვილის პასუხი“.

ამ საბუთიდან აგრეთვე ჩანს, რომ გეგუთში პატრებს თავის კაცები ყოლიათ 1810 წელს და მხოლოდ 1844 წელს ჩამოერთვათ მათ ეს გეგუთის კაცები და ყველა ბოძებული ადგილები, რის შემდეგაც მთავრობის მიერ პატრები განდევნილ იქნენ საქართველოს საზღვრებიდან. რომ ეს ადგილები მათ 1844 წელს ჩამოერთვათ ამას გვიჩვენებს ჩვენ ქვემოთ მოყვანილი რუსულ ენაზე საბუთი, რომლის პირიც ხელთა გვაქვს, დედანი კი ინახება ქუთაისის სამაზრო სამართველოს არქავში:

„М. В. Д.
Кутаисское Уѣздное Управленіе.
№ 831. 24 іюля 1844 г. г. Кутаисъ.

По Высочайшему повелѣнію.

Старшему патеру Кутаисской Римско-Католической церкви Флоренцію.

Государь Императоръ по положенію комитета по дѣламъ за Кавказскаго края въ 2|14 день Іюнь ВЫСОЧАЙШЕ повелѣть соизволилъ находившееся во владѣніи Кутаисской Римско-Католической церкви селеніе Гегута передать въ Казенное вѣдомство и назначить въ замѣнъ того Духовенству церкви сей изъ казни содержаніе по 191 руб. 5 коп. серебромъ.

Получивъ по этому предмету предписаніе Палаты Государственныхъ имуществъ,—я имѣю честь покорнѣйше просить Ваше преподобіе распоряженіе о передачи на законномъ основаніи по имѣющемуся у васъ плану и Документамъ селенія Гегутъ со всеми угодьями исправляющему должность здѣшняго Уѣзднаго попечителя, который долженъ отправиться туда по назначеніи Вами времени и распоряженіи Вашемъ не оставьте почтить меня Увѣдомленіемъ сколь можно поспѣшнее.

Подлинное подписалъ Исправляющій Должность Уѣзднаго Начальника Надворный Совѣтникъ Юрченко.

Исправляющій должность попечителя Зубенко“.

ეს საბუთი არის მოწერილობა, რომლის ძალითაც სოფელი გეგუთი პატრების ხელიდან გადადის ხაზინის ხელში და იმის მაგიერ სამღვდელოებას ენიშნება ხაზინიდან 191 მანეთი და ერთი შაური.

საბუთებ შორის არის ერთი საბუთი —მოწერილობა ქუთაისის კომენდანტისა პოდპოლკოვნიკ ჩუმაკოვისა პატრი ხერუვიმოსადმი. ნახევარ გვერდში დაწერილია რუსულათ, ხოლო იმავე გვერდის მეორე ნახევარზე ქართულით და შემდეგი შენიშვნა აქვს იტალიურ ენაზე:

„Richiesta del comandante di Kutais dello stato delle anime, beni, chiesa etc. 1839. Die 11 Decembris 1839 recepi“.

საბუთის შინაარსი ქართულათ ასეთია:

„მის ღირსებას უპატივცემულესსა უფალს რიმსკო-კათოლიკესა პატერს ხერუვიმოს.

ძალისა გამო მოწერილობისა უფლის მმართებლის იმერეთისა ი$\underline{\text{ს}}$ დეკემბრიდან ამ წლისა № 7649 $\underline{\text{თა}}$ მოსახსენებელათ მისის აღმატებულებისადმი საჭიროდ ვრაცხ ქონებად სარწმუნოისა ცნობისასა საგამგებლოისა თქვენისთვის,

ა$\underline{\text{ს}}$ რაოდენი მდგომარეობენ ეკლესიანი კათოლიკისა სარწმუნოებისა ქუთაისშიდ, სამღუდელოთ პირთ სასხდომი და საფსალმუნე ადგილი,

ბ$\underline{\text{ლ}}$ რიცხვნი მღვდელთა,

გ$\underline{\text{ლ}}$ რიცხვი მრევლთა ორისავე სქესისა,

დ$\underline{\text{ლ}}$ ყმებთა საკუთვნელთა ეკლესიებთა ანდა საზოგადო საზრუნავთა გლახაკთა,

ე$\underline{\text{ლ}}$ რაოდენობათა კაპიტალთა მიხლვეულთა მამულთა ანუ ვითართამე სახელმწიფოთა დაწესებულებათში.

ვ$\underline{\text{ლ}}$ მიუზღვეველთა,

ზ$\underline{\text{ლ}}$ მისთვის თუ სიდგან და რაოდენთა საზრდოთა ღებულობენ პატრნი,

ც$\underline{\text{ლ}}$ რაოდენ არიან სასწავლებელნი და მათ შინა მოსწავლე და მოწაფენი,

თ$\underline{\text{ლ}}$ რაოდენ არს სახლი გლახაკთათვის და მას შინ გლახაკნი,

უმორჩილესად ვთხოვ თქვენსა მაღალ ღირსებასა ესე ვითარნი ცნობაებანი წარმომიგზავნოთ დაუყოვნებელსა დროშიდ.

Кутаискій комендантъ Подполковникъ Чумаковъ.

დეკემბრის ჩყლთ$\underline{\text{ს}}$ (1839) წელს.
ქ. ქუთაისს“.

ეს კომენდანტის თხოვნა ასრულებულ იქნა თუ არა ჩვენ არ ვიცით, რადგან ვერ ვნახეთ ის საბუთი, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ამ თხოვნის პასუხს. მაინც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ პატრებს კარგი გავლენა ქონიათ ხალხში: ქუთაისის გარდა ოდიშსა და გურიაში ყოფილა ეკლესიები, სხვადასხვა ადგილში სამღვდელო პირთ სასხდომები (каплицы), საფსალმუნო ადგილები (часовни), საზოგადო საზრუნავები გლახაკთათვის (богадѣльни) და სასწავლებლები. ზემოთმოყვანილი მოწერილობა ეკუთნის 1839 წელს, მაგრამ ამ მოწერილობის გარდა, საბუთებ შორის არის აგრეთვე ერთი მოწერილობა კომენდანტ ანდრეი პეცოვსკისგან პატრი ჩელესტინესადმი, რომელიც ამ მოწერილობაზე პასუხს აძლევს. აქვე მოვიყვან ორივე საბუთს. პირველ საბუთს ზე-

ჩიშვილი და ტაბიძე, როგორც მარჯვე მოლექსენი, იმდენათ სუსტნი, უძლურნი და უშნონი არიან როგორც დეკლამატორები. სიცილსაც იწვევენ თავისი კითხვით. ნ. ჩხიკვაძე კიდევ ჰო! ხმაც კარგი აქვს და უნარიც მოეპოება თავისი კარგი ლექსების ჩინებული კითხვისა, თუმცა, ამასაც ბევრი უკლია კარგ დეკლამატორობას.

მართალი გითხრათ, წვენში არც მეგულება მე კაი მკითხველი ლექსისა, დეკლამატორი, სუსტ ლექსსაც გააშვენიერებს კარგი წამკითხველი, თვარა ისეთ კოხტა ლექსებს, როგორც ამ საღამოზე წაიკითხეს, კარგი დეკლამატორი მარგალიტებათ გადააქცევდა, ავტორებმა კი გაათილითეს.

ლექსი ხო ლექსია, და პროზა კიდევ უფრო ძნელი წასაკითხავია, თუ ვიანგარიშებთ იმას, რომ ლექსს ფორმა, სახე უწყობს ხელს, ასეა თუ ისე, რომ სულ არ ჩაფლავდეს; პროზის მკითხველს მეტი უნარი სჭირია, რომ ეს ფორმა და სახე მისცეს წასაკითხს.

ი. ნიკოლაიშვილის მოთხრობა დიდი „პროზა“ გამოვიდა, მოთხრობა თავისთავად სუსტი იყო და დიაკვნურათ წაკითხვა რასლა შემატებდა. ცოლ-ქმარი გაყრილან, ერთ თვეს უთმენიათ მარტოობა, ორივეს ერთ დღეს მოუსურვებია შერიგება და ერთი იქიდან და მეორე აქიდან ჩამსხდარან მატარებელში და მიქრიან ერთმანეთისკენ, მე რო ნიკოლაიშვილისა ყოფილიყავი ამ მატარებლებს დავაჯახებდი ერთმანეთს (ეს თანამედროვე ჟანგიც იქნებოდა), ამოვჟლეტდი ყველა მგზავრს, კონდუკტორებიანათ და მარტო ამ ორს გადავარჩენდი... უფრო გემოიანათ ჩაეკვროდენ ერთმანეთს... თვარა ახლა გაყრა და შერიგება ფარათაა ჩვენში. რამე ექსტ რაორდინალური უნდა მომხდარიყო ბოლოს და „პროზა“ აღარ იქნებოდა.

ია ეკალაძეს რო ხმაც ხელს უწყობდეს, ემარჯვება თავის ლამაზი „ლექსების პროზით“ წაკითხვა.

„ნაპოლეონის სიკვდილი“ კარგათ დაწერილი სცენაა და ჩვენ, ვფიქრობთ, დ. ჩარკვიანს შეუძლია უკეთესი ანსამბლით უკეთაც შეასრულოს ნაპოლეონის როლი. ამ საღამოს კი უფერულათ წარმოადგინეს ეს პიესა.

სუსტი იყო ვიოლონჩელი, სუსტი სკრიპკა და გ. თუთფერიძეც ვერ იყო გუნებაზე თითქოს.

საერთოდ... მეტი ყურადღება და უკეთესი მომზადება ასეთი საღამოებისთვის.

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ).

### რ უ ს ე თ ი.

**პეტერბურგი.** პრესის საქმეთა კანონპროექტის კომისია პროექტის 94-ე მუხლის შესახებ მსჯელობას განაგრძობს. ეს მუხლი სამკითხველოებში გაზეთების აკრძალვისა და სამკითხველოების დახურვის შემთხვევას ეხება. გრაფი ბენიგსენის წინადადება ამ მუხლის შესახებ არ მიიღეს. 95—96 მუხლების განხილვა, რომელიც გაზეთების გაყიდვას ეხება სხვა დროისათვის გადასდვეს. 97 მუხლი კომისიის რედაქციით მიიღეს. ამ მუხლის ძალით, ვინც კი შეიძენს სტამბას, უნდა აცნობოს ადგილობრივ პოლიციის უფროსს. ეს კანონი მთავრობისა და ერობის დაწესებულებებზე არ ვრცელდება, კლუბებისა და საზოგადო საკრებულოების სამკითხველების შესახებ პროექტის მუხლი მთავრობის რედაქციით მიიღეს. პროექტის 99—100—101 მუხლი ეხება სამკითხველოებისა, წიგნების სავაჭროებისა და სტამბის გახსნის წესს. ხსენებული მუხლები მიიღეს უცვლელათ. მიიღეს აგრეთვე რამდენიმე მუხლი უცვლელათ კომისიის რედაქციით და რამდენიმე მუხლიც მცირედი ცვლილების შეტანით.

**ურალსკი.** 23 ნოემბერს შავიჭირით ოთხი გახდა ავათ; შვიდი მოკვდა და ერთიც მორჩა.

**პეტერბურგი.** ობუხოვის ქარხანაში გამოკრულია განცხადება, სადაც ნათქვამია ახალი მუშების მიღება შეიძლებაო. გაფიცული მუშები მცირედის გამოკლებით დათხოვილათ ითვლებიან. ხუთიათასი მუშის ადგილს 912 მუშა მუშაობს.

,,როსიის'' ხვალინდელ ნომერში დაისტამბება შემდეგი მეთაური წერილი: ესაა მივიღეთ ბულგარული გაზეთის ,,ეკო დე ბულგარი''ს ნომერი. მასში მოთავსებულია მეთაური წერილი. წერილი დინჯი კილოთია დაწერილი, ხოლო წერილში მსჯელობა კი ყოველთვის სწორი არ არის. წერილის ავტორის სიტყვით, რუსეთის წინაალმდეგ მოძრაობა მარტში დაიწყო, როდესაც გაიგეს, რომ რუსეთი სერბიის მოქმედების წინაალმდეგი არ იყო. რუსეთი მაშინ ორივე მხრიდან იყო არჩეული მათი უთანხმოების გამოსაძიებლათ. კარგი ქნეს მაშინ სოფიის გაზეთებმა, როდესაც იწყეს წერა იმის შესახებ, თუ რუსეთის ეს მოქმედება რამდენათ კანონიერი იყო. გაჩნდა თუ არა უთანხმოება სერბიასა და ბულგარეთს შორის, რუსეთმა განიზრახა ორივე სახელმწიფოზე ემოქმედა და შეერიგებია. არბიტრაჟის როლი რომ გვეკისრა, ამაზე ჩვენ უარს არ ვამბობდით. ეს კია, რომ ბულგარეთს ვურჩევდით. შეურიგებელი პოლიტიკის უკუგდებას, ბულგარეთმა მაშინ ჩვენი რჩევა არ მიიღო არ მიიღო აგრეთვე ჩვენი არბიტრაჟიც.

**პეტერბურგი.** პარიზს წავიდა სამხედრო უწყების სპეციალური კომისია.

### უ ც ხ ო ე თ ი.

**ლონდონი.** სუფრაჟისტმა ქალმა პანკგერსტმა ციხეში შიმშილობა გამოაცხადა და გაათავისუფლეს. დაიწვა ბელფასტში შენობა რომელშიც პატრონები აღმოჩნდა.

**მექსიკა.** ჯარისადმი ბრძანებაში აკრძალულია უცხოელების შევიწროება, აკრძალულია მათგან ფულების დატყუება, სურსათის ჩამორთმევა და სხვა.

**პარიზი.** დუმერი დასთანხმდა კაბინეტის შედგენას.

**კანტონი.** ადგილობრივმა მუშათა კრებამ გადასწყვიტა: გამოაცხადოს ფერელის გაფიცულ მუშათა თ ნაგრძნობი გამოსაცხადებლათ, საყოველთაო გაფიცვა.

**ათინა.** საბერძნეთის მთავრობა დასთანხმდა, რომ ათინაში ოსმალეთის ელჩათ ხალიბეი დაინიშნოს.

**ლვოვი.** აკურთხეს პოლონელი მამულიშვილის სმოლკის ძეგლი. სმოლკი რამდენიმე წლის განმავლობაში ავსტრიის დეპუტატთა პალატის პრეზიდენტათ იყო. დაესწრო ძეგლის კურთხევას ავსტრიის პალატის რამდენიმე დეპუტატი და თვით პრეზიდენტიც.

**ვენა.** მეფემ სააუდენციოთ მიიღო ახლათ დანიშნული რუსეთის სამხედრო აგენტი, პოლკოვნიკი ვინეკენი.

**პარიზი.** განზრახულია მინისტრთა პრეზიდენტათ და გარეშე საქმეთა მინისტრათ დუმერი დაინიშნოს, შინაურ საქმეთა მინისტრათ—რენუ, იუსტიციის მინისტრათ—ბელვენიუმერუსნი, ფინანსის მინისტრათ—ვაიჰი ნულიანსკ-ტორსკი, განათლების მინისტრათ ვივლიანი და სხვა.

**რომი.** მოხდა დუელი ლიბერალ გამბაროტასა და სოციალისტ დერალინს შორის. მათ პარლამენტის სხდომაზე მოუვიდათ უთანხმოება. გამბაროტა სუბუქათ დაიჭრა.

**სოფია.** წინასწარი ცნობით არჩევნებზე მთავრობის მომხრეები გაიმარჯვებენ.

**ბერლინი.** იმპერატორმა ინახულა გერმანიის სამხედრო მისია, რომელიც სტამბოლს მიდის.

**პარიზი.** ჟურნალი ,,დედები'' მკაცრათ აკრიტიკებს დუმერ ის კაბინეტის შედგენილობას.

**პარიზი.** ჩეხელ სოციალდემოკრატთა კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომლის ძალითაც ყველა მშვიდობიანობის მოყვარემ ხელი უნდა შეუწყოს მას, რაც ალორძინების გზაზე აყენებს ავსტრო-უნგრეთს.

**სტამბოლი** ხვალ სპეციალური მატარებლით სოფიის წავა ბულგარეთის ეგზარხოსი.

## რ უ ს ე თ ი.

### მუშათა ცხოვრება

**გაფიცვის გათავება.** პეტერბურგში „ლაფერმის“ ქარხანაში მუშათა გაფიცვა დასრულდა. გაფიცვა გამოიწვია ადმინისტრაციის განკარგულებამ, რომ კრების გასამართავათ შენობა არ დაეთმოთ მათთვის. კრება მუშათა დაზღვევის შესახებ მოსალაპარაკებლათ უნდა გამართულიყო. გაფიცვა ოთხ დღეს გაგძელდა და სულ ორი ათასი მუშა იყო გაფიცული.

**გაფიცვები.** პეტერბურგში ფეხსაცმელების ქარხანაში მუშები გაიფიცენ გაფიცულმა მუშებმა ერთი ხელოსნის სამსახურიდან დათხოვა მოითხოვეს.

შაპოშნიკოვის თუთუნის ქარხანაშიც გაიფიცენ მუშები. გაფიცვა საავადმყოფო კასაში წარმომადგენელთა არჩევნების შეზღუდვამ გამოიწვია. ამ გაფიცვის გამო ქარხნის ადმინისტრაციამ ქარხანა გამოურკვეველ დრომდი დახურა. მუშებმა მოითხოვეს ორი კვირის ჯამაგირი.

## უცხოეთი.

**სომხეთის რეფორმები.** გერმანიამ და რუსეთმა სომხეთში განსახორციელებელი რეფორმათა პროექტი შეიმუშავა, სომხეთა ვილაიეტებში, გარდა ოსმალეთის ინსპექტორისა, დაინიშნება ორი მოხელე ევროპის სახელმწიფოთაგან. ამ მოხელეების დაუკითხავათ ოსმალეთისაგან დანიშნულს ინსპექტორს ნება არ ექნება რაიმე საქმის გადაწყვეტისა. თუ მათ შორის უთანხმოება მოხდა, მაშინ საქმეს პორტა გადასწყვეტს. ოსმალეთის გავლენიან სფერებს ამ პროექტის მიღება შეუძლებლათ მიაჩნიათ.

**შეთქმულება.** მექსიკაში ალმოაჩინეს ჰუერტოს წინაალმდეგ შეთქმულება. შეთქმულების მონაწილეთ უნდოდათ ციხეში დაპატიმრებულები გაეთავისუფლებიათ. მათ იარაღს დაურიგებდენ და უკმაყოფილო ჯარის დახმარებით ნაციონალურ სასახლეს, სადაც ჰუერტა ცხოვრობს, თავს დაესხმოდენ. შეთქმულების აღმოჩენის გამო დააპატიმრეს ციხის კომენდანტი. ჰუერტას მდგომარეობა თანდათან უარესდება.

**მუშათა კონგრესი.** ამ ერთი კვირის წინათ ბერლინში გაიხსნა გერმანიის ქრისტიან მუშათა პროფესიონალური კავშირების წარმომადგენელთა კონგრესი. კონგრესს დაესწრო რეიხსტაგის ბევრი დეპუტატი და სხვა გამოჩენილი პირები. იმპერიის კანცლერმა და შინაურ საქმეთა მინისტრმა კონგრესზე დასასწრებლათ თავისი მხრით წარმომადგენლები გაგზავნეს. მისასალმებელ სიტყვებში ბევრი ილაპარაკეს სოციალ დემოკრატების წინაალმდეგ ბრძოლის საჭიროების შესახებ. გამოითქვა აზრი, რომ ბურჟუაზიული პარტიები სოციალდემოკრატთა წინაალმდეგ ბრძოლაში შეერთდენ. კონგრესმა მეფე ვილჰელმს დეპეში გაუგზავნა, სადაც მეფისადმი უქვეშევრდომილესი გრძნობანი იყო გამოთქმული. მეფემ დეპეშითვე უპასუხა და, უქვეშევრდომილესი გრძნობათა გამოთქმის გამო, მუშებს მადლობა შეუთვალა.

**ბებელის მნიშვნელობა იაპონიაში.** იაპონიაში სოციალისტთა მდგომარეობა ძალიან ცუდია. სოციალისტები იაპონიაში სასტიკათ იდევნებიან. მათ წერის ნებასაც კი არ აძლევენ. ბებელის სიკვდილის დროს სურათი ერთიანათ შეიცვალა: ბებელის სიკვდილმა იაპონიაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; ბებელის ხსოვნას ყველა გაზეთმა უძღვნა წერილები ზოგიერთი წერილი სოციალისტის კალამს ეკუთნოდა.

## დაბა-სოფელი.

**სოფელი მუხიანი.** 24 გიორგობისთვეს სოფელ მუხიანში შესდგა კრება მირაბისა და რჩევის წევრთა ასარჩევათ. კრება გახსნა პირველ საათზე საბჭოს თავჯდომარემ თათეოსიანმა და მოახსენა დამსწრე საზოგადოებას:—ვინაიდან 692 წევრთაგან კრებაზე 233 წევრი გამოცხადდა კრებაც კანონიერია და ითხოვა, აერჩიათ პრეზიდიუმი. პრეზიდიუმში მოხვდენ: თავჯდომარეთ თათეოსიანი, თანაშემწეებათ: ივანე ა. მდივანი, კ. მდივანი და გრიგოლ დიდიძე და მდივნათ ს. ჯინჭველაშვილი. აურებელი ხალხი, 600 სულზე მეტი, რომელთაც წინა არჩევანში ხმები ქონიათ, კრებაზე გამოცხადდენ, მაგრამ სიაში შეტანილი არ აღმოჩნდენ და წაერთვათ არჩევანში მონაწილეობის უფლება, რამაც დიდი აურზაური გამოიწვია და ითხოვეს ერთხმათ კრების ორი კვირით გადადება სიების შესასწორებლათ; მთავრობის წარმომადგენელმა ხალხს ამის ნება არ დართო და განუმარტა საზოგადოებას, კანონის ძალით, დღეს თუ თქვენ არჩევანზე უარი განაცხადეთ, ოქმს შევადგენ, რომ არჩევანზე უარი განაცხადეთ, და მირაბს მთავრობა დანიშნავსო. საზოგადოება მაინც კიდევ ერთხმათ მოითხოვდა კრების გადადებას და ახალი სიების შედგენას. წესიერება ვერა გზით ვერ აღადგინეს, სანამ საქმეში ადმინისტრაცია არ ჩაერია. საღამო ხანს, როგორც იქნა, ჩამოვარდა მშვიდობა და შეუდგენ არჩევანს. მირაბათ აირჩიეს მესხეთში მცხოვრები მინა ამირაჯიბი, მის კანდიდატათ ძველი მირაბი გიორგი ბერაძე, რომელმაც მიიღო 976 ხ. საბჭოს წევრებათ პირველი უბნიდან ქ. ქუთაისსა და მის ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებლებიდან ბენედიკტე თედორაძე, მის კანდიტატათ დიმიტრი მესხი; მეორე უბნიდან, საჩინოს მხრიდან ვასილ ქორქაშვილი, მისი კანდიდატათ კონსტანტინე აგიაშვილი და მესამე უბნიდან

---

ვიდან წარწერა აქვს იტალიურათ: „Letera del generale in cui domanda guante chiese Cattoliche sono in Kutais e in tuta la Emeretia etc., e guante anime“, რაიც მოკლეთ შეადგენს შინაარს ამ საბუთისას; თვით შინაარსი კი შემდეგია, მოგვყავს მხოლოდ ქართული პირი:

„თქვენო სამღვდელოესობავ
მოწყალევო პატრო.

განკარგულებისამებრ უპირატესის საქართველოს მართებლობისა, ვიყავ ვალდებულ წარგზავნად მართლად ცნობათასა რომის კათოლიკეთა და სომეხთათვის შეერთებულთა რომის ეკლესიასთანა და ამათ სამღვდელოთა მცხოვრებთა იმერეთსა შინა, გურიასა და მინგრელიასა, მე მაქვს პატივი თხოვნად თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევო, მაუწყოთ მე, რამდენი არიან აქაურს მხარესა შინა რომის კათოლიკენი და სომეხნი შეერთებულნი რომის ეკლესიასთანა და სამღვდელონი და ეკლესიანი, მაჩვენოთ მაინც რიცხვი სულთასა ორივეს სქესისა საკუთრად ქალაქსა ქუთაისსა და მაზრათა და სხვათა ადგილთა. ჭეშმარიტისა პატივითა და სრულიადითა ერთგულებითა მაქვს პატივი ყოფად თქვენისა სამღვდელოებისა მოწყალეს მწყემს მთავარს.

უმორჩილესი მოსამსახურე
ანდრეი პეცოვსკი.

ე აპრილის 1836 წელსა.
წინამძღვარს ქუთაისის კათოლიკის ეკლესიისა პატრი ჩელესტინეს“.

ა) 5 აპრილის 1836 წლის მოწერილობაზე ხუთ დღეს შემდეგ 10 აპრილს პატრი ჩელესტინე ანდრეი პეკოვსკის უგზავნის მოხსენებას, რომელშიც დაწვრილებით მოყვანილია რიცხვი კათოლიკე მრევლისა იმერეთს, გურიას, ოდიშს და აფხაზეთში აქვე მოვიყვან უცვლელა იმ საბუთს:

„თქუჱნო ალმატებულებავ მოწყალეო ხელმწიფევ ანდრეი გრიგორის ძევ.

ალსასრულებლად უპატივცემულესისა მოწერილობისა თქუჱნის ალმატებულების ესა ამა აპრილიდგან № ჩქოვითა მოვახსენებ თქუჱნს ალმატებულებას რომელ სამწყოისა ჩემისანი ადგ ქუთაისსა შინა მცხოვრებნი მამრნი არიან .სით. სულნი და მდედრნი .ხმვ. სულნი ეკლესია ერთი და პატრონი კაპუცინის რიგისანი ორნი, და სომხის რიგის კათოლიკე მღვდელი ერთი, ბდ სამთავროსა შინა გურიასა მამრი .იდ. სულნი და მდედრნი .ი. სულნი, ეკლესია ერთი, და სომხის რიგის კათოლიკე მღვდელი ერთი, გდ რედუთ კულევს მამრი .ვ. სულნი და მდედრნი .ჰ. სულნი, და დდ აფხაზეთსა შინა მამრნი არიან .იბ. სულნი მდედრნი .ი. სულნი; **ყოველნი ესე მცხოვრებნი არიან რომის კათოლიკე სარწმუნოებისანი; ხოლო რაოდენი არიან აქაურს მხარესა შინა რომის კათოლიკენი მე არ უწყი, ვინაჲთგან წინა პარნი სამწყოსა ჩემისა კათოლიკეთანი უძველდან მოქცეულნი ვითარცა ცხად არს რაოდენთამე საუკუნოებათა უწინ.**

(ხაზი ჩვენია. ს. ასლ.)

ჭეშმარიტის პატივის ცემითა და სრულიად ერთგულებითა მაქვს პატივი ყოფად თქუჱნის ალმატებულების უმორჩილესი მოსამსახურე და მლოცველი პატრი ჩელესტინე.

აპრილის ისა დღესა ქ-კას ჩყლვ სა წელსა. ქ. ქუთაისსა.“

ამ საბუთიდან ჩანს, რომ ქუთაისში ეკლესიას ყოლია მრევლი რიცხვით 465 სული, გურიაში—24, ყულევში (ოდიში)—14 და აფხაზეთში—22 სული. მთელი მრევლი ყოფილა რომის—კათოლიკის სარწმუნოებისა, რომელიც მიუღიათ მათ წინაპართ „რაოდენთამე საუკუნოებათა უწინ“. ქუთაისში ყოფილა ორი პატრი კაპუცინის რიგისანი და სომხის რიგის კათოლიკე ღვდელი ერთი; უნდა დავუმატოთ ჩვენ—ქართველი. ასეთივე სომხის რიგის მღვდელი ყოფილა გურიაში. სომხის რიგის ქართველ-კათოლიკე ღვდელთაგინ 1820 წლამდი ვხვდებით იოვანე ბეთანელს, ხოლო ამ წელს შემდეგ მამა ანტონ თუმანიშვილს, გურიაში კი ვხვდებით მამა გრიგოლ მელიქიშვილს. ესენი აზდილი და ნასწავლი იყვენ სომხების მონასტერში ვენეციაში და იმიტომაც ითვლებოდენ სომხის რიგის ღვდლებათ. განა სომხის რიგისანი არ იყვენ მამა პეტრე ხარისჭირაშვილი, რომელიც სომხებთან აიზარდა ვენეციაში და რომელმაც დააარსა სტამბოლში ქართველ-კათოლიკეთათვის მონასტერი სემინარიით, სადაც დღესაც აურებელი ქართველი ბავში იზდება; ან მამა იოანე გვარამაძე, ქართულ მწერლობაში ცნობილი ,,ვინმე მესხი''-ს ფსევდონიმით, რომელიც თავგანწირულათ იცავდა ქართველ-კათოლიკეთა ეროვნებას და სიკვდილამდი იბრძოდა ქართველი ენისათვის, რომელიც უნდა შემოღებულიყო მთელი სამცხე საათაბაგოს ეკლესიებში შიგ გამეფებულ (ისტორიის უკუღმართ მსვლელობის გამო) სომხურის ენის ნაცვლათ, რომლის ანბანიც არ გაეგებათ ქართველ კათოლიკე მრევლს იქაური ეკლესიებისას. აი, ასეთ ქართველ-კათოლიკეთა ღვდლებს სომხის რიგისას ანუ ტიბიკონისას ზოგიერთი სომეხთა მეცნიერნი ნათვლენ სომხებათ. ნუთუ ის ქართველები, რომელნიც სამღვდელოთ ემზადებოდენ, მაგალითად, რომში, იტალიელების სემინარიაში, იტალიელებათ ან ლათინებათ უნდა მონათლოს იქაურმა ხალხმა. ყოველი განათლებული და გონიერი ადამიანი აღიარებს ასეთ ღვდლებს ლათინის რიგის ღვდლებათ, მაგრამ მასთანავე არ შეურაცხყოფს მათ ეროვნებას, როგორც ამას ჩადის სომეხთა ზოგიერთი მეცნიერი. ქართველ-კათოლიკეთა ღვდლები,—თფილისისა, გორისა, ქუთაისისა, ბათომისა, ახალციხისა (მხოლოდ პატრების ეკლესიაში), სტამბოლისა არიან ლათინის რიგისა, ნასწავლნი სხვადასხვა ქვეყანაში და სომეხთა მეცნიერების ლოღიკით რომ გავსაჯოთ, ესენი ყველა ლათინები უნდა იყვენ. მაშასადამე, როგორც ეს ლათინის რიგის ღვდლები არიან ქართველები, ისეთივე ქართველები არიან მთელი სამცხე-საათაბაგოის (ახალციხის მაზრა) ის სომხის რიგის ანუ ტიბიკონის ღვდლები, რომელთაც სწავლა მიუღიათ სომეხ-კათოლიკეთა მონასტერში ქ. ვენეციაში.

ზემო მოყვანილ საბუთებთან საჭიროთ ვრაცხთ მოვიხსენიოთ ერთი საბუთიც, რომელიც შეადგენს სიას მთელი მცხოვრებლების გვარებისას ოთხივე სამთავროისას და რომელსაც შემდეგი შენიშვნა აქვს იტალიურ ენაზე: „Lista della famylie di Cuuis, Puria, Ebcasia“. ამ საბუთში მოხსენებულია, თუ რამდენი კომლი იყო თითოეულ ქალაქში ამ სამთავროებისა, რამდენი სული იყო ქალთა ანუ კაცთა სქესისა და თითოეული ოჯახის უფროსის გვარი და სახელი. ქუთაისში ყოფილა 95 კომლი, რომელშიც 219 სული ყოფილა მამრ. სქესისა, 246 კი დედრობითი სქესისა. ,,გურიასა შინა მცხოვრებნი კათოლიკენი: 7 კომლი, მამრ. სქესისა 14, დედრ.—10; ყულევს მცხოვრებნი კათოლიკენი: 2 კომლი, მამრ. სქესისა 6, დედრ.—8; აფხაზეთსა შინა მცხოვრებნი: 5 კომლი, მამრ. სქესისა 12, დედრ.—10''. გვარების მოყვანას აქ მეტათ ვსთვლით, რადგან ზოგიერთი მოყვანილი გვქონდა უკვე პირველსა და მეორე წერილებში გაზ. ,,იმერეთი'' №№ 103, 129.), მხოლოდ უნდა აღვნიშნო, რომ მთელი გვარი და სახელი ნამდვილი ქართულია და ეს გარემოება ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ამ საბუთებში მოხსენებული კათოლიკენი ქართველები იყვენ. მაშასადამე, გვითქვამს და კიდევ ვიტყვით, რომ კათოლიკობა თუ ვრცელდებოდა ჩინეთში იაპონიაში, ინდოეთსა და სხვადასხვა ქვეყანაში და თუ კათოლიკობამ მიაწია აგრეთვე სომხეთს, რისთვის გონია იმ სომეხთა ზოგიერთ მეცნიერს, რომ ეს სარწმუნოება ქართველთა შორის არ გავრცელდებოდა, სარწმუნოება კათოლიკეთა ვრცელდებოდა დიდის წარმატებით საქართველოში, სადაც ამ სარწმუნოების წყემსებს ქართველები ძალიან გულ-მხურვალეთ ეკიდებოდენ და არა ისე, როგორც სომხები, რომელნიც იქამდი სდევნიდენ ამ სარწმუნოებას, რომ, თუ ვინიცობაა რომელიმე მათი თანამემამულე კათოლიკობას მიიღებდა სიცოცხლესაც კი უსპობდენ ისეთი საშუალებით, როგორიც არის საწამლავიანი, პერანგის ჩაცმა შიშველ ტანზე.

ქ. ადესა. სოსო ასლანიშვილი.

სავაჭრო სახლი
# ი. გოკიელის ძმ—ბის
ქუთაისში.

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ აბრეშუმის ჭიის თესლის
# ხ. ხრისტოდულიდის
(რომელსაც წინათ ეძახდენ წერეთელს)
ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ქრისტეშობისთვემდი ა/წ. შეუკვეთს თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთისა, რომელშიც 200 კოლოფია ექვს მისხლიანი. **მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 კ.** შეკვეთის დროს უნდა წარმოადგინონ ბე ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის სავაჭროში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მალლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია **ლეგანტი ქქთამეს მე ნუცუბიძე**, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმურკაში.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.
# ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე,
მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელოუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თაფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.
პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.

ბაღდადის მხრიდან არშაკ თათეოსიანი და ამის კანდიდატათ ლავრენტი მიქელაძე. საღამოს შვიდ საათზე კრება დაიხურა. **ვეტია.**

—

**სოფ. თაგვასი** (ზემო იმერეთი). ეს პატარა სოფელი ეკუთნის მუხურის საზოგადოებას და შესდგება ოთხმოცი მეკომურისაგან. მთლად მუხურის საზოგადოება კი შესდგება დაახლოებით 900 მეკომურისგან. მდებარეობა როგორც სოფელ თავასას, ისე მთელ მუხურას ნაყოფიერების მხრით არ აქვს კარგი. ჯერ კარგ წელიწადში ამ სოფლებში საყოფი პირნახული არავის არ მოსდიოდა. წრევანდელმა მოუსავლობამ კი ყველა დალუპის გზაზე დაგვაყენა. მთელ საზოგადოებაში ხუთი კომლი თუ ამოირჩევა ზამთრის სარჩო ქონდეს, დანარჩენი მცხოვრებნი-კი დღესვე შიმშილს განიცდიან. და თუ ზამთარი მკაცრი იქნა, დიდი უბედურებაა მოსალოდნელი. დღესვე ძლიან გაძვირდა შინაური საქონლის საკვები, მაგალითად ჩალა დღეს ღირს ურემი ხუთი მანეთად, მაშინ როდესაც არაოდეს ორ მანეთს არ აშორებია. ამიტომ მცხოვრებნი ყიდიან მარჩენელ მუშა ხარებს და სხვა საქონელი ხომ ყველა მზათაა მოიშოროს თავიდან, მაგრამ ვინაა მყიდველი? შვიდ ან რვა თუმნათ ღვრებულს შინაურ საქონელს დღეს რამდენიმე მანეთად იძლევიან, მაგრამ ყველას თავისი თავის გაკვება უჭირს და საქონელს ვინღა დაეძებს. ვის შეხვდებით მდიდარია თუ ღარიბი რომ არ ეთხოვებოდენ ერთმანეთს: ან გადაურჩებით ამ წელიწადს და ან არაო. ამ უკანასკნელმა წვიმიანმა ამინდებმა სულ დაგვაქცია. სასოწარკვეთილებას მიცემული ხალხი ორიოდე გროშის საშოვნელათ გარბოდა ქიათურაში და ამინდის გამო ველარ მიდიან. საწყლები თავს არ იზოგვენ, მაგრამ ამინდის წინაამდეგი ვერ ხდებიან. ხალხმა რაც უნდა ბევრი იშრომოს, მაინც აუცილებელია მათზე უბედურება: მთელი წელიწადი ნაყიდი პირნახულით ოჯახის გატანა ადვილი არ არის. ამისათვის საჭიროა არის დალუპის გზაზე დამდგარი ხალხისთვის დახმარება. ჩვენც ვეხმარებოდით გაჭირვების დროს გაჭირვებულთ და ბევრისთვის ამოგვიჩენია დახმარება. დღეს ჩვენ ვიმყოფებით უკიდურეს მდგომარეობაში და მოვუწოდებთ იმ სოფლების მცხოვრებთ, სადაც მოსავალი შედარებით უკეთესი იყო, დაგვეხმარონ ფულით ან პირნახულით. ამასთანავე ვსთხოვთ, მცხოვრებლების სახელით, მოწინავე ელემენტებს:—ენერგიული და გულწრფელი მონაწილეობა მიიღონ ამ დიდ საქმეში და რაიმე სახსარი აღმოუჩინონ დალუპის გზაზე დამდგარ საზოგადოებებს. **თაგვასელი.**

## უცხოეთიდან ჩვენში შემოსატანი საქონელი (იმპორტი).

### ქიშმიშის გასაწმენდი მანქანა.

კავკასიიდან უცხოეთში გამოტანილ ქიშმიშს შედარებით ოსმალეთისა და საბერძნეთისასთან დაბლა აფასებენ, რადგან პირველი გაუწმენდელია.

**ჩვენი ფირმა არის ერთადერთი წარმომადგენელი მთელი კავკასიისათვის ინგლისის საუკეთესო ქარხნის, რომელიც 1791 წელს არის დაარსებული და ამზადებს ქიშმიშის საწმენდ მანქანებს.**

მსურველთ შეგვიძლია მივაწოდოთ შემდეგი ტიპის მანქანები:

„ატლასი". ეს მანქანა ყველა ზომის ქიშმიშს გასწმენდს, ე. ი. გააცლის კლერწებს, სილას და ყოველივე უსუფთაობას, მაგრამ ამასთანვე არ შეამცირებს სისოვლეს და ამნაირათ ხელს შეუწყობს ფასის მომატებას.

ეს მანქანა მუშაობს მოტორის საშვალებით, თან ახლავს ორი საწმენდი და ერთი პატარა ვაგონი გადასატანგადმოსატანათ, რითაც შესაძლოა, რომ ერთი მანქანა რამდენიმე მსურველმა შეიძინოს და რიგრიგობით ისარგებლონ მით.

მანქანა ღირება ბათომში ჩაბარებით, **უმოტოროთ 750 მანეთი.** შემოსატანი ბაჟი, რომელიც მყიდველმა უნდა გადაიხადოს, იქნება დაახლოებით 40 მანეთი, ასე რომ, ეს მანქანა მყიდველს დაუჯდება **790 მანეთად.**

ამასთანავე მანქანა ძლიერ ადვილი სამუშავებელია.

მსურველთ შეუძლიათ მანქანასთან ერთად მოტორიც შეიძინონ. მოტორი—ელექტრონით სამოძრავებელია (240 ვოლტი) და ღირება ბათომში ჩაბარებით **215 მანეთად.** შემოსატანი ბაჟი, რომელიც მყიდველმა უნდა გადაიხადოს, უდრის 35 მან. ასე რომ სულ მოტორი დაჯდება **250** მანეთად.

### ბრინჯის საწმენდი მანქანები.

ეს მანქანები ორი ტიპისაა, აცლის ჩენჩოს და ფერავს ბრინჯს, მისი ნაწილები საუკეთესო ფოლადისაგან არის გაკეთებული.

1. „ინდუსტანი",—წმენდს ერთ საათში 8—16 ფუთამდი ბრინჯს. ბათომში ჩაბარებით დაჯდება 420 **მანეთად.** შემოსატანი ბაჟი, რომელიც მყიდველს გადახდება,—30 მანეთია. სულ მანქანა დაჯდება 450 მანეთად.

2. „ინდუსტანი"—უფრო პატარა ზომისაა და ყველა მეურნისათვის გამოსადეგი, ვინც კი ბრინჯის მოყვანას ეწევა.

ეს მანქანა ერთ საათში 2—3 ფუთამდი ბრინჯსა სწმენდს და ბათომში ჩაბარებით ჯდება 260 მანეთად. შემოსატანი ბაჟი, რომელიც მყიდველს გადახდება, უდრის 10 მანეთს, ე. ი. სულ ეს მანქანა **დაჯდება** 270 **მანეთად.**

ორივე მანქანა მოტორის საშვალებით მუშაობს.

ყველა ზემო ჩამოთვლილი მანქანა მსურველთ შეუძლიათ გამოიწერონ შემდეგი ადრესით:

D. Gnambasnidze, 61 Mark Lane. London E. C.

დეპეშის მისამართი: Livivs London (მხოლოდ ეს ორი სიტყვა).

ჩვენი ფირმა მზათ არის დაუყონებლათ უპასუხოს ყოველ შეკითხვაზე და დამატებითი განმარტება მისცეს მსურველთ ამ მანქანების შესახებ.

ჩვენვე ვკისრულობთ ამ მანქანების გადაგზავნას ბათომიდან კავკასიის სხვადასხვა ქალაქს მყიდველის ხარჯზე.

პატივისცემით **დხვით დამბაშიძე და ამხ.**

რედაკ.-გამომცემელი **გ. ბრეგაძე.**

## საცვლების მკერავი ქალი
სალომე უვლებაშვილისა ღებულობს საკერავებს.
**ბაღდხვანის ქ. სახლი გრიგოლიასი № 64**

გამოცემა „სორაპანისა"
დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ
დასურათებული
# კედლის კალენდარი 1914 წ.
შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ
**ფასი 2 აბაზი**
კალენდრის კარდონი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ათი ფერი საღებავით სუფთად და ლამაზათ.
# სახალხო კალენდარი 1914 წ.
დასურათებული.
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ. **ფასი 1 აბაზი.**
კალენდრები იყიდება საქართველოში ყველგან.
ვისაც პარტიით უიდვა სურს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით:
თფილისი, მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი".

ხრესილი.
სამკურნალო
# აბანო
მეირფასი მთის აერზე
ძმ. ყორყოლაძეების
ჩვენი აბანო ახლით თანამედროვე მოწყობილებით.
შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმები) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

# КУРСЫ
кройки и шитья для дамъ и дѣвицъ.
# ПРІЕМЪ
заказовъ на элегантные дамскіе наряды
## M-me МАРИ
На-сколко важно для каждой дамы и дѣвицы самой, безъ посторонней помощи, умѣть кроить и шить, говорить объ этомъ нѣтъ надобности. Достаточно сказать, что спеціальность эта, совмѣщаетъ въ себѣ двойную выгоду: ЭКОНОМІЮ и ЗАРАБОТКИ. Она каждой дамѣ и дѣвицѣ даетъ могучую возможнотъ: 1) одѣваться почти даромъ и со вкусомъ и 2) заработывать вдвойнѣ—путемъ преподованія курсовъ и пріема заказовъ. Курсы эти открыты мною по образцу заграничныхъ. Благодаря особенностямъ метода и постановкѣ дѣла курсы усваиваются БЫСТРО, ЛЕГКО и ОСНОВАТЕЛЬНО. За мою долголѣтную практику заграницей и въ столичныхъ городахъ Россіи, какую я на этомъ поприще искуства принесла пользу, въ этомъ убѣждаютъ безчисленныя газетныя благодарности, какія систематически изъявлены мнѣ многими изъ моихъ бывшихъ курсистокъ. Время дорого. Поспѣшите записатьса на курсы.

Тутъ же при курсахъ открыта мною спеціальная мастерская для пріема заказовъ исключитеьно на элегантные наряды, отличающіеся изящностью фасона и художественностью работы. Полное угожденіе вкусу любительницъ изысканныхъ нарядовъ, это—нашъ девизъ. Ѣздить въ Тифлисъ на курсы или за заказомъ художественно—изящныхъ нарядовъ болѣе нѣтъ надобности.

*Адресъ*: Кутаисъ, 1-ая Александровская ул. д. Бокерія противъ бульвара.
Съ почтеніемъ **M-me МАРИ.**



ქ. ქუთაისში. (საკრებ. ტაძართან).
**ა. თაბაგრის მაღაზიაში.**
მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანა, გრამაფონები,ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.
ფასები ძლიერ დაკლებულია.
ვყიდით ნისიათაც თვიური შემოტანით.

## ახლათ გამოშვებული პაპიროზები „დ ე ლ ი - ბ ა ბ"
10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ.
იყიდება ყველგან.
პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურკლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.
თუთუნის ქარხანა „**ბინიატ-ოღლისა**" ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.

# გ. გორდაძისა და ს. წერეთლის
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესა სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ"
**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**
საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მაგთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
**ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.